



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000053629715820

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 37

02 / სექტემბერი / 2020 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე 314კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას (საპარკინგე ადგილის მოსაწყობად) საიჯარო ქირის სანყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ)“ ქვეპუნქტის, მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ახმეტაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე 314კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას (საპარკინგე ადგილის მოსაწყობად) საკადასტრო კოდი 50. 04.43.388:
  - სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის სანყისი საფასური - 565 (ხუთას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით.
  - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5 (ხუთი) წელი.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101).

